

მ ა ტ ყ ე მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ შ 6 0 8 1 6 4 9 2 0 1 4 8 5 .

განჩინება უწმ. სინოდისა.

უწმინდესმა სინოდმა, დაინახა რა მასში წარმოებულ საქმეებისაგან, რომ ზოგიერთი მონასტრები აგზავნიან დაბეჭდილ განცხადებას, რომლებშიც მოხსენებულია მიცემულებულთა მოსახსენებელი ნიხრი და სკრიბს-რა, რომ ამისთანა საშუალება მონასტრის შემოსავალთა მოსაპატბლად უკანონო და დამატებირებელია კეთილმსახური ქრისტიანეთა პატივისუმისა წმიდა მონასტრებისადმი, საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს სასულიერო უწყების საყურადღებოდ, სადყებლესით უწყებებში დაბეჭდილით, რომ შემდეგისათვის მონასტრების წინამძღვრებმა არ დაბეჭდონ ასეთი მოწიადება მონასტრების სასარგებლოდ შეწირულებათა შესახებ, რომელშიც ნაჩენები იქნეს მიცელებულთა მოსახსენებელი ნიხრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ განკარგულების აღუსრულებლობისათვის, დამნაშავენი მიეცმიან პასუხისმგებაში.

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს მეფის წმიდა დავით აღმაშენებელის სახელზე დაასტებელი მიმდინარე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლოს დარბაზ მოწაფეთა დასახმარებლად 1893 წ.

დღეს, როცა საქართველოს მართლ-მადიდებელი კეპებისა დღესასწაულობს საქართველოს მეფის წმ. დავით მე-3 აღმაშენებელის ხსენებას, შესრულდა შეორე წელიწადი, რაც აქ ზეციური მფარეველის სახელობაზე დაასტებელია და გა ქუთაისის სასულ. სასწავლებელთან ამ სასწავლებლის დარბაზ მოწაფეთა დასახმარებლად, ში. რ მაღალ ყოველად უსამღვდელო-

ებობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის შუამდგომლობით და საქართველოს ექსარხისად ყოფილის, ხოლო დღეს პეტერბურგის და ლადობის მიტროპოლიტის, ში. რ მაღალ ყოველად უსამღვდელოებობის პალლადის ლოცვა-კურთხევითა.

ამ საანგარიშო წელში ძმობის კასში შემოვიდა სულ 1047 გ. 77 კ. ამ ჯამს შეაღების: 1) 796 გ. 77 კ., რომელიც შემოვიდა 1892 წელს გვირგვინა კების და შენლობის ფურცლების ვასყიდვისაგან, რომელიც მიემართა ამ საანგარიშო წელში ძმობის თანხას, თანახმად სასწავლებლის წესდების 22 წ მისი ყოველად უსამღვდელოებობის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ნება დართეთ (ეურ. 18 აპ. 1893 წ.); 2) იმერეთის ეპარქიის საბლაოლისინო მაზრებიდან: კულაშისაგან 70 გ. და ჩხარისაგან 25 გ. 3) მღვდლის დარისპან ბარათა შეილისაგან 10 გ., იმერეთის ეპარქიალური კანცელიარის მიენინის ერასტი თუთბერიძისაგან 6 გ., სასწავლებლის ექიმის მიხეილ მარელაძისაგან 6 გ., სასწავლებლის საპატიო მზრუნველის მიხეილ შნეიდერისაგან 5 გ., სასწავლებლის ზედამხედველის აღექსანდრე იარისლავისაგან 5 გ., ლევანზების გაბრიელ ცაგარეიშვილის და რაფენ გოგაუროვესაგან სამ-სამი გ., ქუთაისის კლასიური გიმნაზიის მასწავლებლის ანტონ ილიან კოსაგან 3 მან., ამავე გ. მწარისის კლასის მასწავლებლის თანაშემწის აღექსანდრე მიტლიარებისაგან 3 გ., ქუთ. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებისაგან: დავთ ჩიმაკაძისაგან 3 გ., მღვდლის მელიტონ ცაგარეიშვილისაგან 3 გ., მიხეილ კედლიერისაგან 3 გ., ილ. მატარაძისაგან 3 გ., გასილი გასილიერისაგან 3 გ., ნიკოლოზ მალრაძისაგან 3 გ., ანთიმოზ გორგაძისაგან 3 გ., ივანე გორგაძისაგან 3 გ., მიტრატონ ფხავაძისაგან 3 გ., იოსებ სანებლიძისაგან 3 მანეთი, ქრისტეფორე ულრელიძისაგან 2 გ., დავით დათოშეილისაგან 1 გ., ესტატე ლამბაშიძისაგან 1 მანეთი, კორნელი მაღრაძისაგან 1 გ., და სასწავლებლის

ალმაზრდელის გერმან ჯაჯანიძისაგან 1 მ., მღვდლის თომა დუგლაძისაგან 3 მ., მღვდლის ლუკა მალაძისაგან 3 მ., მღვდლის იოსებ ჭირაქაძისაგან 1 მ., საცეკველესიო-ხამრევლო სკოლების მასწავლებლებისაგან: მიხეილ ზუგატაშვილისაგან 1 მ., ბესარიონ გაგაძისაგან 1 მ., ტრიფონ სანქტპლისაგან 1 მნეთი, ბესარიონ ციცქიშვილისაგან 1 მ., გასილი არვაძისაგან 2 მ., და სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის ივანე გაფრინდაშვილისაგან 3 მ. და 4) 60 მ. შემოვეიდა მოვება სასწავლებლის საპატიო მზრუნველის მიხეილ შენიდერისაგან ძმობისადმი შემოწირული სხვა და სხვა სასწავლო ნივთების და სახელდობრ რეეულების, საწერი ქაღალდის, საწერლების, ყაჩანდაშების, კალმების და ტარების გასყიდვისაგან.

გარდა ამ ფულით შემოწირულებისა ამ საანგარიშო წელში იყო კილევ სხვა გვარი შემწეობაც ძმობის სასარგებლოდ. 1) დეკანოზმა დაეთ ღამბაშიძემ არა ერთ გზით დაბეჭდა თავის საკუთარს სტამბაში ძმობის ანგარიშები, მოწოდება სხვა და სხვა პირთადმი, რათა მათ აღმოვეჩინათ შემწეობა ძმობისათვის და სს. და 2) ხრეითის ერთკლასიანი სამრევლო-საცეკველესიო სასწავლებლის მასწავლებელმა ბ. საყარაბელიძემ შემოსწირა 60 ცალი დაბეჭდილი ბლანკები, რომ ამ ბლანკებზე მისცენ მოწმობა მასწავლებლობის წილების მახიებელთ, რომელთაც თავის სურვილისამებრ უნდა შესწირონ ძმობის სასარგებლოდ, რამდენიც სურთ.

ზემოთ აღნიშნული ფულების გარდა ამ საანგარიშო წელში ძმობის განკარგულებაში იყო წარსული წლიდგან დარჩენილი ფული 602 მ. 4 კ., რომელიც ზემოთ აღნიშნულ ფულებთან ერთად შეადგინს 1649 მ. 81 კ.

ყველა იმ პირთაგან, რომელთაც ამ 2 წლის განმავლობაში ფულები შესწირეს ძმობის სასარგებლოდ, თანახმად ძმობის წერდებისა, იწოდებიან: ა) ძმობის საპატიო წევრად და მფარველად მისი ყოვლად უსამღვდელოებობა გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა; ბ) სამუდამო წევრებად ძმობისა: ქალაქ ქუთაისის ეცელესიების ბლალოჩინი მღვდლი ნესტორ ყუბანენშვილი და საპატიო მზრუნველი ქუთ. სასულიერო სასწავლებლისა მიხეილ ივ. შენიდერი და ვ) ნამდვილ წევრებად ითვლებიან ყველანი, რომელთაც შემოაქესთ ძმობის სასარგებლოდ ყოველ წლობით არა ნაკლებ სამი მანეთისა, ხოლო დანარჩენი იწო-

დებიან თანამგრძნობ წევრებად, უელა შემწირულ პირთა რიცხვი ასამდეა (ნამდეილი და თანამგრძნობ წევრთა რიცხვი სისწორით არ არის ნაანგარიშეეც იმის გამო, რომ ზოგიერთი ბლალოჩინები, როცა ფულებს აღგენენ ძმობაში, არ აცხადებენ სახელდობ არც იმ პირთ, რომელთაც შესწირეს ფულები ძმობის სასარგებლოდ და არც შეშირულების რაოდენობას).

ამ ზემოთ აღნიშნული ფულებიდგან საანგარიშო წელში დაიხარჯა დას ძმობაში მოვაწეოთ შესაწევენ ელად 864 მ. 13 კ., და სახელდობა: მიეცათ შემწეობა ფულით: 1) შესანაზი ხარჯის გასასტუმრებლად შემდეგ მოწაფეთა: ვლადიმარ კინწურაშვილს 54 მან., კსენაფონტ ხარაიძეს 27 მ., იოსებ წერეთელს 48 მ., კონსტანტინე ჩახანიძეს 12 მ., არქიპო ჭუმბურიძეს 24 მ., იოსებ შევგულიძეს 18 მ., გვალინ კანდელაკს 20 მ., ალექსანდრე საყარელიძეს (თეთრუაშვილს) 45 მ., მინა მესხს 6 მ., ვეოლე კაციაძეს 9 მ., პორფილე ბოჭორიშვილს 12 მ., ივან ჩლაიძეს 15 მ., ალექსანდრე გეორგაძეს 21 მან., კონსტანტინე ბაჭარაშვილს 9 მ., ვარლამ მესხს 21 მ., იაოლიტე უკლებას 9 მ., იასონ მხატვრიშვილს 9 მ., რაედინ აჩენიძეს 30 მ., ილია აბაზაძეს 6 მ., ონიფაზტე ხარაიძეს 12 მ., სევერიანე შუბლაძეს 8 მ., პარმენ ჩახუას 4 მ., 2) სასწავლო ფულების გადასახველად კონსტანტინე ტუეშელაშვილს 15 მან., და იოსებ მცალობლიშვილს 7 მ. 50 კ., და 3) რამდენიმე ღარიბ მოწაფეთ, რომელთაც კარგად შეარსულეს სწავლა სწენებულს სასწავლებელში და გაგზავნილ იქმნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომ თბილისში პირველ თოვეებში საშუალება ჰქონებილი ცხოვრებისა: გოორგი სოხაძეს 40 მანეთი, კორნელი კეკელიძეს 40 მ., ვიქტორ ფანჩულიძეს 30 მ. და ილია ჯინჭველაშვილს 15 მ.; 4) დახარაჯა მაუდის და ტილოს სასყიდელად, რომ საზაფხულო და საზამთრო ბლუზები, ფეხსაცმელები, საცელები, ქულები, წულები, სასწავლო და საწერი ნივთების. და ტანთასაცმელების შესაკერავად სულ 297 მ. 63 კ. აქედგან მიეცათ საზაფხულო ბლუზები და შალვარი თითო ჩრწიელი შემდეგ მოწაფეთ: აკეპსინ კანდელაკს, კონსტანტინე შეკლაშვილს, აბესალომ ღვალაძეს, გედეონ კანდელაკს, სიმონ ტუემალაძეს, ელევთერ ღვალაძეს, კონდრატი ნინიკაშვილს, პანტ. ჩიკეინიძეს, ერასტი კინწურაშვილს, მიხეილ გურგენიძეს, დიონისე თუთბერიძეს, რაედინ აჩენი-

ძეს, ლუკა ტყემალაძეს, ნესტორ გეორგაძეს, ჭალ. გოგოშვიდეს, ლაერენტი სარალიძეს, ბართ. კუხაიანძეს, მელიტონ ჭეიშვილს, გორგი ჭუმბურიძეს, ბ. ბაკურაძეს, ვარლამ მესხს, ათანასე ჯვარიშვილს, კონსტანტინე გორგაძეს, სიმონ მერმონიშვილს, გრ. რობაქიძეს, გრიგოლ კელენჯერიძეს, ეიქტორ ლომიძეს, გერვასი ჭუმბურიძეს, ქსენ., ანიფანტე და ანდრია ხარაძეს; ბ) საზამთრო ბლუზები და შალვარი თითო რწყეილი: მინა მესხს, კირილე ფანტავას, პარმენ ჩიჩეას, მიტრაფონე მშევნიერაძეს, იულიონ ჩლაიძეს, მიხეილ გელეიშვილს, ელადიმირ მაჭარაშვილს, სიმონ ჯათშვილს, გრიგოლ რობაქიძეს, რაფენ არსენიძეს, ან. კანდელაქს, სერგი ბოჭორიშვილს, ივან გორგაძეს, გორგ. ქებულაძეს, იოსებ შავვულიძეს, არქ. ჭუმბურიძეს, ლიონის თუთებრიძეს, გელენ კანდელაქს, სიმონ მერმონიშვილს, ლუკა ტყემალაძეს, ალექსანდრე შერვაშიძეს, იულ. ჩიმაკაძეს, ელადიმერ კინტურაშვილს (ქუდი, საცალი და წულები), ეიქტორ ფანტულიძეს (ქუდი და წულები), ლაერენტი კროჭს (ქუდი და წულები), გერე. ჭუმბურიძეს (წულები), ელეოფრ ღვალაძეს, ნესტორ გეორგაძეს, პიმენ არაბიძეს, პანტ. ჩიქეინიძეს, ანდრო ლანთაძეს, მინა მესხს, სერგი გაგოშიძეს, გრილამ ლომიძეს, ივან კანდელაქს, სერგი ტოგონიძეს, ლუკა ტყემალაძეს, გარ. მშევნიერაძეს, აზეროსი ბებურიშვილს, სევერიანე ძიმისტარაშვილს, არჩიმლ კვინიკაძეს, პოლიეტერ ჯვარიშვილს, ალ. ლორონქიფანიძეს, ვალ. შავვულიძეს, ათანასე ჯვარიშებილს, კოსტ. ჭუმბურიძეს, ილია ნუცუბიძეს, იოსებ წერეთელს, ან პოდისტე ბახტაძეს, ანდრო ჭყველიძეს და ივან ბახტაძეს, და 3) ორი რწყეილი საზამთრო ბლუზი და შალვარი: ვარ. კუხაიანიძეს, მელიტონ ჭეიშვილს, კონსტანტინე გორგაძეს, ულ. კინტურაშვილს, გორგი ჭუმბურიძეს, იმოლიტე უკალებას, ვეკოლე კაურაძეს, დექტორ ლომიძეს, ვარლამ მესხს, ბაგრატ ბაკურაძეს, სიმონ ტყემალაძეს, სერაფიმ გაბუნიას, პოლიკ. კინტურაშვილს, ილია აბაზაძეს, სიმონ კაციურაძეს, ლონგინ ბებურიშვილს,

სევერიანე კეკელიძეს, გრიგ. კელენჯერიძეს, გერვასი ჭუმბურიძეს, ლაერენტი სალარიძეს, ევგენი გაბუნიას, ვიქტორ ჭუმბურიძეს, პოლიეტერ და კალისტრატე გაგოშიძეს, ქსენ. ხარაძეს, ერასტი კინტურაშვილს, სევერიანე შეტლაძეს, კონსტ. შეკლაშვილს, კონსტ. დალაქიშვილს, ალექსანდრე გორგაძეს, ონიფანტე და ანდრო ხარაძეს, და დ) მიეკათ სასწავლო და საწერი ნივთები: ელადიმერ კინტურაშვილს და ილია ნუცუბიძეს.

ზემოთ აღნიშნული ია გვიჩვენებს, რომ ა) მიეკათ შემწეობა ფულით 28 მოწაფეს, სულ 566 მ. 50 კ. და ბ) მიეკათ ტანთსაცმელი, უქსაცმელი და სასწავლო ნივთები 114 მოწაფეს, რომელთაგან 32 მოწაფემ მიიღო ორ-ორი რწყეილი ბლუზა და შალვარი; ყველა ამაგზე დახარჯა ძმობის რჩევაშ 297 მ. 63 კ. სრულიად ამ საანგარიშო წელში დაიხარჯა 864 მ. 13 კ. ხოლო შემდეგი წლისათვის რჩება ნაღდი ფული 785 მ. 18 კ.

თუ ყოველივე ამაგბს მიეიღებთ: სახეში, ამ საანგარიშო წელში ძმობის მოღაწეობა ძლიერ ნაყოფიერი იყო როგორც შემოსული შეწირულებით ისე იმ მოწაფეთა რიცხვით, რომელთაც შემწეობა მიეკათ ძმობისაგან, თუ ამასთან იმსაც მიეიღებთ სახეში, რომ ზოგიერთ წეერთ ძმობისას ჯერეთ კიდევ არ შემოუტანიათ ხეედრი საწერო ფული და გარდა ამისა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა გე-XXXI კრებამ უკე მოსპო ყოველ წლობით დანიშვნა 300 მ. ლარიბ მოწაფეთა დასახმარებლად, კინაიდგან სასწავლებელში დარსდა ძმობა. ზემოთ აღნიშნულ შეწირულებათა წყალობით ძმობის რჩევამ, როგორც ეს ხიანს ზემოთ აღნიშნულისგან, 150 მოწაფე შემოსა თუმცა უბრალო, მაგრამ შესაფერი და წმინდა ტანთსაცმელით, ბევრი დაიფარა შიმშლისაგან, დაენიშნა რა მათ ხარჯის ფული და ბევრი მათგანს შემწეობა აღმოუჩინა ძლიერ გასაჭირ დროს. ამგვარ მოწაფეთა გუნდს დეუთვნიან როგორც ისინი, რომელთათვის ძმობის რჩევამ თავის დადგენ ილობით

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დამტკიცებით შეიტანა სასწავლო ფული, ისე ისინი განსაკუთრებით, რომელთაც ძმობის შემწერბით შეძლება მიეცათ გაეგრძელებიათ სწავლა ხსნებულს სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელთაც მიეცათ ძმობიდან ფული, რომ პირეველ თოვეცებში ეცხოვდათ თბილისში. როცა ძმობა დახმარებას უწევდა და დარიბ მოწაფეთა, სახეში ჰქონდა, რომ ამ შემწერბით გაეუმჯობესია მათი საბრალო ცხოვრება, ამავე დროს ამ მოწაფეთ შესაფერი წარმატება გამოიჩინათ სწავლაში.

ძმობის რჩევა, რომელმაც ამდენი შემწერბა აღმოუჩინა სასწავლებლის დარიბ მოწაფეთა, თავის მოვალეობადა სოელის გულითადი მადლობა უძღვნას; ა) მის ყოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, როგორც პირეველს მფარველს და საპატიო წევრს, რომელიც ყოველთვის მამობრივ მფარველობას უწევს საზოგადოთ დარიბთ და კრძოდ ამ სასწავლებლის მოწაფეთა. შემდეგ ბ) ძმობის რჩევა თავის წმიდა მოვალეობად რაცხს გულითადი მადლობა გამოუტადოს სასწავლებლის საპატიო მტრუნველს მიხეილ ივ. შნეიდერს, რომლის შემაწირულება დახმარებას უწევს არა მარტო დარიბ მოწაფეთა, არამედ ამ სასწავლებლის ცველა მოწაფებს. პატიოცემული მიხეილ ივან. შნეიდერი ლირისია ამ მადლობისა, როგორც ნიეთიერი შემწერბისათვის, ისე განსაკუთრებით იმ სამადლო საქმისათვის, რომელიც შექენება ამ სასწავლებლის მოწაფებს სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით. მიხეილ შნეიდერმა სწორეთ ამ ჩენი დღეს სასწავლებლის დროს გაამდიდრება შემწერბის დროს გამამდიდრებული სასწავლებლის წიგნთ-საცავი, რომელსაც შესწირა სარწმუნოებრივ-ზნეობრითი შინაარსის წიგნები, რომელნიც დღემდის სასწავლებლის წიგნთ-საცავი არ ყოფილა და ამ შეწირულებაზე დახარჯა 300 მანეთამდე. ამ უხევი შეწირულებით მან კეშმარიტად დღნერგა ის წმიდა, გონიერი და კეთილი თესლი, რომელიც ჩაინერგება რა ბავშვების უმანკო

სულში, შემდეგში შეიქმნებიან იგინი მორჩილი და გამგონე შეილნი მართლ-მადიდებელი ეკკლესია, კეშმარიტი მოსამსახურე მეფისა და სამშობლოსი, კეთილნი მამანი ოჯახობისა და საზოგადოების სასარგებლო წევრნი. დაბოლოს ძმობის რჩევა თავის გულითად მაღლობას სწირავს ძმობის ცველა დანარჩენ წევრთ, რომელთაც თავის შეწირულებით დახმარება აღმოუჩინეს ძმობის რჩევას შემწერბა მიეცა 150 დარიბი მოწაფისათვის, რომელნიც ამ სასწავლებლებში იძენენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ განათლებას თანაბეჭდ წმ. მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა და ეკკლესიისა. ცველა ამ პირთა შეწირულება უეჭველად გამოიწვევს მოსწავლე ბავშვების ვულში უცულოთადეს მაღლობას მათ კეთილმყოფელთაღმი და იგინი მხურვალე გულით შევეღლებიან წევრები მამას მათი დღეგრძელობისათვის.

ძმობის რჩევა დაზიმუნებულია, რომ მოწავლე კეთილშემწირველნი, რომელნიც თანაუგრძნობენ ძმობის მოქმედებას, შემდეგშიც არ მოაკლებენ ძმობას თავის დახმარებას და მასთან სხვაებსაც წაქეწებენ, რომ დახმარება აღმოუჩინონ ძმობას. განსაკუთრებით დიდი იმედი აქცს ძმობას თქვენი მმ. სულიერნო მწყემსნო, რადგან თქვენი კრძობით სახე სიტყვა არას დროს არ დარჩება უყურადღებოდ თქვენ სულიერ შეილთაგნ, რომელნიც პატივს გცემენ თქვენ როგორც თავის მახლობელ წინამდებარო და მლოცველო ღვთის ტრაპეზის წინაშე.

ძმობის რჩევას შეაღენენ შემდეგი პირები, რომელნიც აღრჩეულ იქნენ, თანახმად ძმობის წესდებისა, საზოგადო კეთილისაგან: ძმობის თავსმჯდომარე, ზედამხედველი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, ალ. ა. იაროსლავი, ვიცე-პრეზიდენტი დეპ. ჭუთ. მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა რაჭდენ გიგაუროვა, და წევრნი ქუთ. სას. სასწავლებლის მასწავლებელნი: ანთიმოზ გორგაძე და აბგავან სულაქველიძე, საქმის-მწარმოებელი მასწავლებელი ამავე სასწავლებლისა ანდრია ბერაშეილი და ხაზინადარი სასწ. ზედამხედველის თანაშემწე ივანე დავ. გაფრინდაშვილი.

ძმობის რჩევის თავსმჯდომარე ალექს. იაროსლავი.



მწერლისი

მე ვარ მწერლისი ეთოლი: მწერლებან კეთილმან სული თვისი
დაჭელგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვა ცხოვარი ჩემი წარწერებული. ესრეთ იყოს სიხარული
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოველით ჩემდა ყოველი მაჟურალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენი თქვენ. (მათ. 11—28).

№ 3

1883—1894

15 ოქტომბერი.

შინაგანი: ღაფირი და განუთევდება: განჩინება უწ. სინდისა. — ანგარიში საქართველოს მეფის წ. დავით
აღმაშენებლის სახელზე დაარსებული შპოტა ქუთაისის სასულიერო სახულებლის დარი მოწაფეთა დასახმარებლად 1893 წ.
საღიტერა ტერა განეცილება: ბ. სოლოვიევის აზრი საქართველოზე და ქართველებზე. — ქართლ-
კახეთის ეპარქიის მთავრი სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში 1893 წ. და-
სასრული. — მღვდელთა საუკადლებოთ. — ფსალმენი ლდ. (ლექსი). — გონების სალაროდამ. — პასუხი ზარელ პროგრამას. —
სათარგებლო ცოდნა, დარიგება მეფეცრების დაწყებისათვის. — განცადებანი.

ბ-ნი სოლოვიევის აზრი საქართველოზე და
ქართველებზე.

„დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რუ-
სეთშაც დაიწყო მოლვაშეობა პალე ს ც ი ნ ა შ ი,
ხოლო რუსეთის სამეფოს სამხდეპრითა შორის პრის
ერთი ძევლის-ძევლი საქრისტიანო ქვეყანა, განთქ-
მული და განდიდებული თავის გმირთ მოწამეობით,
ამ ქვეყანამ ააქსო იერუსალიმი და მისი მიღამონი
თავის აღზნებულ საქრისტიანო გრძნობის გამომ-
ხატველ ნაშთებით. ეს ქვეყანა საქართველო. მისი
კეთილ-მორწმუნე ბერ-მონაზონნი დღესაც მოღვა-

წეობენ მამა საბას ღიდებულს მონასტერში ათონის
მთაზე. ქართველი ბერები იყენენ ამას წინად სინას
მთაზედაც. იყერის მეფებმა იერუსალიმის ახლო-
მახლო აშენეს მონასტერები. პროტესტორ ლავარელის
გამოკვლევამ დაგვანახეა, რომ იერუსალიმის მონას-
ტერები შორის ყველაზე უკოთესი და მშენებელად
მოწყობილია მონასტერი წმიდა ჯგარისა, რომელსაც
ერეკლე შეფექ გადაუადა ყოველივე ეალები მე-XVIII
საუკუნის გასულს. ამ მონასტერს ჰულიბს და განა-
გებს პატრიარქია, შოლოდ იმიტომ რომ სრულიად
შემთხვევით დღეს იქ აღარ არიან ივერიის ბერ-მო-
ნაზონნი. არ არიან იმიტომ, რომ წარსულ საუკუ-
ნეში თავ-განწირული ბრძოლა და ომი ჰქონდა სა-

ქართველოს სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო ველარ მიღილდნენ ქართველი ბერები იერუსალიმს. ხოლო ეს მონასტრები რომ საქართველოს საკუთრებაა, ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერას იტყვის, როგორც არაერთ არას ამბობს და არც დაეს აცხადებს ვინმე იმის გამო, რომ იერუსალიმის პატრიარქის მიაქვს ის შემოსავალი, რომელიც ამ მონასტრისითვის შეუწირნიათ საქართველოს მეფეთა და დიდებულთ. ეს ასეა და მთელმა საქართველომ კი თიოქოს სრულიად არ იცის, რომ რუსეთში ასებობს პალესტინის საზოგადოება. არც იმისი ისმის რაჩე, რომ სალოცავად დადიოდნენ საქართველოდამ იერუსალიმში ან ქართველი ბერები, ან სამლედელონი და ან ერის კაცნი. ეს გარემოება მით უფრო გაუკვებარია, რომ ქართველთ თითქმის ხელუხლებლივ შეუჩენიათ ის მიმჩიდველი თვისებანი, რომელიც ისტორიაშ მიანიჭა: ღრმა ვრძნობა ღვთის მოსაობისა, მტკიცე ერთგულება ეყკლესისა, ჰველიბით აღსავე სიყვარული თავიათ ნებით აღრჩეულ ხელმწიფესი, ძმური ნდობა ერთორწმუნე რუსეთისა, რომელსაც ჩაბარეს თვისი ბედი და ქართველობაზე კი ხელი არ აიღეს; ხოლო დღესაც, სრულიად სამართლიანად, არა შიშიბენ, რომ ხელი ახლოს ვინმებ მათს ქართველობასა.

ბერ-მონოპონთა რიცხვი დღესაც საკმაოა საქართველოში და დავიჯერო—აღარ ახსოვთ, რომ იერუსალიმში მონასტრები აქვთ? პალესტინა იმ საუკუნო ანდერძთა ქვეყანაა, რომელიც მტკიცედ ჩაპირვება და ჩაქასოვებია საქრისტიანო ძმობათა სხვა და სხვა მართლიერებას; ხანდახან ამ მართლიერება უფლებათა მოქმედება შეფერხდება ხოლმე, მაგრამ იმს კი ვერავინ იტყვის, რაფენ ხანი და ეპი გა. სულა, უნდა მოსპობილ იქმნას, ძალა დაეკარგოს საერო სამსჯავროს წინაშეო. საკმაოა გავიხსენოთ ბეთლემის საქმე, რომელიც შეიქმნა საბაბად სევასტოპოლის რმისა. საქართველოს ძელი უფლებანი პალესტინაში საფრანგეთის კუსტოლიის უფლებაზე ნაკლების ძლიერებისა არ არის, და იმედი უნდა ვიქონიოთ, მათ წინააღმდეგ ვერას იტყვის ერთ-მორ-

შმუნე ბერძენთ სამლედელოებაცა; ამ სამლედელოზბას, ცხადია, ახსოვს, რა სიუცხვითა და წყალობით კიოდებოდნენ ივერიის კუთილ-მორწმუნე მეფენი, ძველი მშენებელნი იმ მონასტრებისა, რომელიც დღეს ბერძენთ გამგეობაშია. პალესტინაში ლათინთა კონგრეგაციები არსებობს, აგრეთვე იტალიელებისა და ფრანგებისა, დაარსდება კონგრეგაციები ვერმანელებისაცა და, რასაკვირელელია, ლათინთა პატრიარქის მორჩილებაში იქნება უოველივე ქსე; მაში მართლმადიდებელ ეკკლესიის საკეთილდღეოდ რატომ ბერძენთა მონასტრებთან ერთად არ უნდა არსებობდეს რუსთა და ქართველთა მონასტრებიცა?»

ჭეშმარიტება უოველეთვის ჭეშმარიტებად დარჩება, რამდენიც უნდა ფაროს ჭ აბრუნდას ივი კაცმა. სამწუხაროდ, ბევრია იმისთანა ვირნი, რომელიც სიმართლეს ფარვენ ჭ კაცის ნამდვილს სამსახურს სრულებით აქარწყლებენ თავისი ვირადის სარგებლობისა, წინ ბიჯის წადგმისა, უურადღების მიქცევისა და დამსახურებისათვის. ცმირად ამისთანა ვირნი კიდეც ეწევიან ხოლმე თავისი გულის წადილს ჭ სრვისი და დაცირვებით, ბევრად თუ ცოტად, წინ სდგმენ ბიჯს ჭ კეთილდღეობენ. მაგრამ ბოლოს დროს ჭეშმარიტება და სიმართლე თავს არ იფარავს ჭ უფრო ბრწყინვალედ ამოუბეჭამდება ხოლმე. ცმირად შევხვედრივართ გაზეთ «Моск. Вѣдомост.»-ში სტატიებს ჩვენი ქვეშნისა და ხალხის შესახებ, რომლებმიაც ერთ სიტეგასაც ვერ ნახავდით ნათევამს ჩვენდა ხანებემდე. პატივი და დიდება ბ-ნს სოლოვიევს, რომლის სტატიის სიტემები ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ხსენებული გაზეთიდამ. ჭეშმარიტად საციამოვნოა ამისთანა სიმართლით სავსე სტატიის კითხვა და ისიც «Моск. Вѣд.»-ში. სენებული გაზეთის ზემოდ მოუვანილი წერილი ორი სხვა ჭ სხვა ტომის ხალხს აერთსულებს და აერთგულებს; რუსთის მეორე გაზეთი «Новое Время» კი თავისი ცარიშის-ის წერილით ამის-

თანა ერთსულობის და ერთგულობის წინააღმდეგის. დმერთმა ინტენს, რომ ამისთანა მოწინდადმდეგეთა რიცხვი შემცირებულიყოს.

ლე. ლ. ლაპაშიძე.

ქართლ-კახეთის ქარქის მთელი სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში აქტოშის 8—14-დე 1893 წ.

(დასახული *)

კრებაზე დიდი ბასი გამოიწვია დეპუტატთა შორის აგრეთვე ბ. ალბოვის მოხსენებამ ეპარქიალური დედათა სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადასცენების შესახებ. ეს, თითქმის, მეორედ უდგენს სამდვდელოების კრებას ბ. ალბოვი ამ წინადადებას. განსვენებულის მთავარეპისკოპოსის ჰავლებს დროსაც შემოიტანა ბატ. ალბოვმა ეს წინადადება და სთხოვა სამღვდელოებას ხსენებულ საჭიროებისათვის ხარჯი 2500 მანეთამდე. ამ ფულებს საკმაოდ რაცხდა იყო, რომ ხსენებული სასწავლებელი ექვს-კლასიან სასწავლებლად გადაკეთებულიყო. წინა კრებაზე სამღვდელოებამ საქართველოს ექვსა-ხოსად უოფილის, ამ განსვენებულის მთავარეპისკოპოსის ჰავლებს წინადადება ამ საგნის შესახებ მიღლო და ხარჯიც გარდაწევიტა, მაგრამ წუართ, თუ საიდამ უნდა შემოსულიყო 2500 მანეთი, კი არ უჩვენებია კრებას. ურნალი წარადგინეს უწმ. სინოდში, მაგრამ სინოდის ეს დადგენილობა არ დამტკიცა, ვინამდგან საიმ-

დო წუარო არ იყო ნაჩვენები ახალი ხარჯისა-თვის.

უნდა გამოტეხილად ვსთქვათ, რომ არც ამ კრებას გამოუჩენია ამ საგნის შესახებ მომეტებული გამჭირიახობა. ბ. ალბოვმა ბევრი მიზეზი დაასახელა ამ სამ-კლასიანი ეპარქიალური დედათა სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებისა. ამ საქმისათვის ერთ დროებითად ითხოვდა ბ. ალბოვი 10,000 მანეთს, რომ ამ ფულით შეესყიდათ ერთი სახლი ადგილითერთ ამ სენებული სასწავლებლის მახლაბლად და შემდეგ ულველ წლობით ითხოვებოდა ხარჯი არა უმეტეს 2000 მანეთისა.

ასმდენამე დეპუტატი. ძლიერ კარგი იქნება, ვიყიდოთ სახლი ამ სასწავლებლისათვის და ეს სამ-კლასიანი დედათა სასწავლებელი გადაკეთდეს ექვს კლასიანად. საჭირო ფული ამ საქმისათვის მიეცეს სასწავლებელს წმინდა სანთლის ქარხნისაგან.

დ. დ. ლამ—მე. უნდა მოგახსენოთ, მამანა დეპუტატი, რომ ეს წინადადება პირველად არ ეძლევა სამღვდელოების კრებას განსახილველად. წინა კრებაზედაც იყო ლაპარაკი ამ საგნის შესახებ და კრებამ კიდეც მიღლო საჭირო ხარჯი. ურნალი დამტკიცდა და წარდგინდა უწმიდეს სინოდში, მაგრამ სინოდმა არ შეიწყნარა სამღვდელოების კრების დადგენილობა ამ საგნის შესახებ, რადგან ხარჯის წუარო მარტივ სიტუაცით იყო ნათქვამი ჲ საქმით კი არა სჩანდა რა. მაინცა და მაინც მიუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს ამ სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთება, რადგან რუსეთშიაც არიან ამისთანა სასწავლებები, და ჩვენ ხომ ჩვენი სიღარიბისა გამო უველავერი მოგვეტობა. მე მხოლოდ ერთი გარემოება მაკვირვებს. ულველივე ხარჯის დაფარვა თქვენ გნებავთ წმინდა სანთლის ქარხნის შემოსავლისაგან. ჩუ თუ თქვენ არ უწეით, რომ სანთ-

*) ა. მწერესიანი № 2, 1894 წ.

ჭირის ქარხნები, ახალი კანონების ძალით, დღიდ სარგებლობას ვერ გვაჩვენებენ. სანთლის ქარხნებს დღიდ სარგებლობას აძლევდა ცერეზინი, ესლა ამ ცერეზინის ხმარება აღკრძალულია და სად კნებავთ ოქვენ, რომ 18 მანეთად იშოვოთ ფუთი წმინდა სანთლის ცვილი? ჩემის აზრით მცირეს ხანში 27—28 მანეთად ეღირება । ფუთი ცვილი წმინდა სანთლისა. და ამ ფასს შემდეგ განა წმინდა სანთლის ქარხნის შემოსავალი არ დაიკლებს? საჭიროა, რომ ამ ხარჯის დასაფარავად სხვა რამე წყარო უწვენოს კრებამ, თუ მაინცა და მაინც სურს კრებას ამ სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაგეთხება.

სამდლელოებამ ყრთხმად დაადგინა ეპარქიალური სამ-კლასიანი საქალებო სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაგეთხება და საჭირო ხარჯის წყაროდ როგორც სასწავლებლისათვის შენობის მოსაპოებლად ისე უფელ წლის ურთის მომატებული კლასების შესანახავად უწვენა სანთლის ქარხნის შემოსავალი. ამის შემდეგ კრებას ჰქონდა მსჯელობა სანთლის ქარხნის საქმის უკეთესად წარმოების და სხვა ზოგიერთი კითხვების შესახებაც, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, კრების სხდომებს ჩვენ პათარ დაგვწრებივართ და არც ვიცით, რა მოხდა ამას შემდეგ.

დაბეჭითებით შევიტყეთ, რომ ამ კრების ქურნალი შესახებ 600,000 მანეთის სესხებისა უწ. სინდისტაცია მათ მეუფებას, საქართ. ექსარხოსა ვლადგიმირს არ დაუმტკიცებია. ისიც შევიტყეთ, რომ მათ მეუფებას მოუხდენა განგარგულება, დაუწიშნავს კომისია, რომელიც უნდა დაეთვალიერებია საქალებო სასწავლებლისათვის მოსაპოებელი სახლი. ეს სახლი ძლიერ უფარგისი და ძლიერ ძვირი სადღოებია. ცნობების შეკრების შემდეგ აღმოჩენილა, რომ სანთლის ქარხნას შემოსავალი ძლიერ მცირე ჰქონებია და ამიტომ არ შეძლებია სხვა რამე ახალი ხარჯის დაფარვა. დაუდ, ამნაირად გათავდა ქართლ-

კახეთის სამდლელოების დეპუტატების კრება. მსჯელობა ბევრი იყო, დროულ ბევრი მომხმარეს, მაგრამ კრების მოქმედების სარგებლობა ჯერეთ ბევრი არა ჩანს-რა და შემდეგ რა იქნება, ამას მერმე შევიტყობოთ.

დამსწრე.

ჩასუხი

ზარებ პროგრამის.

1879 წლიდამ დიდის სიამოცნებით მოველოდით ჩვენგან შედგენილი და გამოცემული კარაბალინის გარჩევას ეინმე ექიმისავან. სულით უ გულით გვსურდა, გამოსულიყო ეინმე და ქვეწებინა ჩვენგან გამოცემული კარაბალინის შეცდომები. 1880 წელში გაზ. «ლორება» კიდეც დაგვიტორდა ამ წიგნის განხალვას, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდის ხმაც არავის ამოულია.

კარაბალინის პირველი გამოცემა სულ გაიყიდა. სანამ მეორე გამოცემას ხელს მიყოფით, ჩვენ მიემართე ცველას, რომ განეხილათ ეს წიგნი და მასში მომზღვიში შეცდომები შეენიშნათ, რომ 2-ე გამოცემაში ავშორებოდით ძელ შეცდომებს, მაგრამ არავის ხმა ამოულია. გამოცემით მეორედ კარაბალინი და როგორც ცველა ოჯახისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი «მწყებისა-ს ხელის მოწერათ დაურიგეთ საჩუქრად წარსულ წელში.

ამ წლის გაზეთ «ივერიის» №-ში ჩვენ წავიკითხეთ ბიბლიოგრაფიული წერილი. ამ წერილის ავტორს ულია გასაჩინებად ჩვენგან გამოცემული «კარაბალინი», სულაცველის გამოცემა «სიმრთელის კილობანი». და გუნის კალენდრის «საეჭიმონაწილი». ჩვენ დიდის სიამოცნებით მივევებთ ამ წერილს და იმედი გვერნდა, ებლა მინც ჯეროვანად განირჩევოდა და დაფასდებოდა ამისთანა წიგნები, მაგრამ ძლიერ მოვტულით. ჩვენ გვევინა, რომ წერილის ავტორი იქნებოდა ეინმე საეციალურად მომზღვებული ექიმი და ხელში შეფრინა კილაც ზო-

არელი პროგიზორი ქართული სიტყვა არ არის და ეინც უცხო ენები არ იცის, ექიმი ეკრანზე, ან ენიმე დიდი ნასწარელი კაცი. პროგიზორი ლათინურია და ნიშანებს აფთექარის თანამემწეს, წამლების მომზადებელს ექიმის ჩერებით და მიწერილბით. — პროგიზორი იცის მხოლოდ, თუ რომელ წამლებს რა სახელი აქვს და მოამზადებს ისე, როგორც უჩვენებს ექიმი. ჩაიცა შეეხება აეადმყოფობას, მისი არა გავეგძია რა და არც ის იცის, თუ რომელი წამლი მოაჩინებს აეადმყოფს. აქედამ ადვილად შეგვილიათ წარმოიდგინოთ, თუ აამდენად შეუძლია საექიმო წიგნების გარჩევა პროგიზორს, ზიარევი იყოს იგი, თუ გინდ თფილისელი.

მოელი წიგნიდამ აუღისა ჩეენ ზიარევი პროგიზორის რამდენიმე სია წამლის მომზადებისა და თავის შენიშვნებს სწერს. წამლების შესახავებლად ამა და ამ წამლის ამდენი კი არ უნდა გეხმარაო, ამდენი და ამდენი გრანი და ან მისხალი უნდა გეხმარათო. რატომ ისე არ უნდა შეგვეზავებია წამლები, როგორც ზიარელი პროგიზორი გვეუბნება, ამას ის არაფრით გვიმტკიცებს. «დოფმანის „კაპლია“ მომზადების შესახებ სწერს ჩეენი ზიარელი პროგიზორი, ერთ ნაწილ ეთერზე ორი წილი სპირტი უნდა და არა სამი წილი». რატომ არ შეიძლება სამი წილი სპირტის გარევა? ზიარელი პროგიზორი გვირჩევს, რომ ერთ წილ გოგირდის ეთერზე ორი წილი სპირტი უნდა იყოს გარეულიო. შესანიშნავი დოკტორი ფ. ესტერლენი თავის შესანიშნავ წიგნში «ფარმაკოლოგია»—ში ამბობს, რომ გოგმანის „კაპლი“ მომზადება ერთი წილი გოგირდის ეთერისა და სამი წილი სპირტისა—განთ. რომელს დაუუჯეროთ, ამ შესანიშნავ ექიმს ფარმაკოლოგს, თუ ზიარელ აფთექის თანამემწე?...

მერა ზიარევი ბროვიზორი უბრუნდება შე ბადა და გვისაცელდურებს, თუ რატომ არ ეუჩვენებთ, სპირტი რამდენი უნდა იხმარებოდეს ამ «უნივერსალური კაპლის» მოსამზადებლალო. ვერ გადევითა, რომელ „კაპლზე“ ამბობს იგი და ან რას ამბობს?

„კანცეცელების სპირტი, ამბობს ზიარელი პროგიზორი, შეენიერი რამ საშუალებაა და რატომ არ ამბობთ, რა და რა სატყივარისათვის იხმარება? ამისთანა სახალხო წამლებს, ჩასაც უფრო მეტს დამახსელებთ, იმდენი კარგია: გარდა ტექსტისა აქცა უნდა ყოფილიყო მოხსენებული. (?) ძლიერ ესწუხვართ, ბ. ზიარელი პროგიზორი, რომ მესამე ნაწილი ჩეენ

კარაბაღინისა ან წაგიკითხაესთ და არც დაკვირვებისართ მეოთხე ნაწილს კარგად, თორმე ან წამლეც-დებოდათ ეს სიტყვები. მეოთხე ნაწილში წამლების მომზადება გვაქს ჩეენ აწერილი და ის, თუ რომელი აეადმყოფობის წინააღმდევ იხმარება ეს წამლები, ეს მესამე ნაწილში არის ნაჩერები, სადაც აღწერილია საეულებანი...

ჰეითხეთ ჩალეს, ბ. პროგიზორი, ქეზაფს რას უწოდებენ, თუ „უკეთოო“—ზედ არ მიგოთოონ. სახალხო საექიმო წიგნებში რა უნდა ამ წამლის ხმა-აჩვენას, ამბობს პროგიზორი, მაგრამ ეს თქვენი საჭმე არ გახსლავთ. საექიმო რჩევაში ამაზედ ხერი ლაპარაკი იყო, მაგრამ დაინახეს შესაძლებელად მისი ჩამრება ჩეენს წიგნში. მიხაკის ზეთი კბილის წამლობისთვის იქნება თქვენ მოგწონს და სხვას არა...»

«შაბის სასმელად ხმარებას, ბრძანებს ზიარელი პროგიზორი, სჯობს სრულებითაც არ უჩინოთ მთელი არსებალია (ნეტაფი გვაკოდინა, რა არის არსებალი?) წამლებისა და განა სხვა ვერა იპოვნეთ რა?» და ეინ უჩინებს მერა მის სმას? ერთს ადგილს ვერ გვიჩვენებთ ჩეენს კარაბაღინში, რომ ამ წყლის სმას უყრჩევდეთ აეადმყოფს. თქვენ დალოცვილო, კრიტიკულია განდათ და წიგნს კი არ წაიკითხავთ.

„რასა ჰეავს ეს, ბრძანებს ჩეენი ზიარელი ხიმიკოსი პროგიზორი, განა ბელი კუპორისი, «სერნოკისლი ცინკი» თეთრი შაბიამანია?!』 გამოჩენილი ექმის ესტერლენის წიგნში ფარმაკოლოგია არის დაწერილი: Сѣрнокислая окись цинка бѣлый или цинковый купоросъ და ჩეენც ესთაზმეთ, თეთრი კუპორისი და ფენგარო ვინმარეთ მიტომ, რომ ამ წამალს სწორებ ამ სახელს უწოდებენ იმერეთში და არა თუთას, რომელი სიტყვაც წარმოსდგება თათრული ენიდან და არა ქართულიდამ.

ას კბ. მამა ღამბაშიძეს თან ჟეცეპზომლებას შინაგანს საქმებისთვის, ამბობს ზიარელი პროგიზორი. ესტანდელ დროში განა გადავ ხმარობენ შინაგანს სასაქმებელ წამლებს კეტებათ, იშვათად სჭირდებათ ბავშვების ავადმუშაობაში, როცა მოგრძელება ბრძანება გამო სელი ესუთებათ და სხ. მაგრამ რა ალავი აქვს პირდან სასაქმებელ წამლებს სახალხო კანბადიში!

ამას თქვენ არავინ გყათხავს. ალბათ შეიძლება ამ წამლების მოყვანა კარაბაღინში, როდესაც

ექიმთა კრებამ განიხილა ეს წიგნი და ნება დაწილო
მის დაბეჭდვაზე.

ქვემოთ განაცრობს ზიარელია პროცესორია

№ ქდ ლა № ქმ. ამ რეცეფტებიდგან ერგობა,
რომ აკრის ღვინის მარილი და ღვინის მარილის
მჟავა ერთი და იგივე ჭიბუნა, მესთხავე შეშენა
სასმელების მოსამზადებლად სოლას და „კისლა-
ტას“ ერთსა და იმავე წინასას უზნებს, მაშინ,
როდესაც სოლა უნდა ამძღვნიშვ გრანით მეტა
იყოს.

სრულებით არ გვეცნა, რომ ღვინის მარილი
და ღვინის მარილის მექანიკური და იგივე იყოს,
მაგრამ საზოგადოდ ჩენიში ღვინის მარილის უძახიან
და არა ღვინის მარილის მფავას. შეშენა სასმე-
ლის მოსამზადებლად სოლას გრანით არავინ წონის.
და არც ერთ ადგილას არ გამბობთ ჩენი მაინცა და
მაინც სიმძღვები და სოლა ერთი და იმავე წონის უნდა
იყოს-თქო. საიდან მოიფიქრეთ ეს?

იმყრეთის (ზღვის შირის) ცივბ-ცენტრების ჯერ-
ზედ რომ გრანი ქინა-ქინა ეკუთხა?! ამბობს ზია-
რელი პროეიცორი, თო გრანზედ ნაკლებ, ამა,
რა სათქმელია, ეგ რუსულიდან რომ გათანგინი-
ათ, რესეთის ცივბა სულ სხევა არის და აქ, სადაც
ქათმდებაც-ე ცივბას, რომ გრანი ქინა-ქინით ამა-
ნას გაარიგებთ.

და სად გამბობთ ჩენი, რომ ზღვის პირა ადგი-
ლებში ცივებიან სწორები რომ გრანი ქინა-ქინა
მიეცით-თქო? ჩენი ვსწერთ: ცივბისაგან მოსარჩევად
აერმყოფს ამლევენ თითო ჯერზე ორს გრანს ან
მეტს. საიდან მოეჩენა ჩენი ზიარელი პროეიცორს,
ორ-გრან მეტ ხინას ნუ იხმაროთ დასალევათ-თქო?

№ მ3. «სალოთი»-ს ორგან შეეხედი, ნეტა რა
არის? უთუოდ «შალორეი»-ს თქმა გინდათ, რომელ-
საც ქართულად სალბია ეწოდება», ბრძანებს ზია-
რელი პროეიცორი («ივერია» № 26).

ნეტავი რას უწოდებს ზიარელი პროეიცორი
შალორეი-ის? ალბად მას შალფეი-ის თქმა სურდა!
ამისთანა შეცდომებს თუ გამოყენ ჩენი ზიარელი
პროეიცორი, ბევრ ღრის დაკარგავს და საქმე კი არ
გაკეთდება.

ამისთანა შეცდომები კიდევ რამდენიმე მოპყავს
ზიარელ პროეიცორს ჩენი კარაბადინის მეოთხე ნა-

წილიდგამ, მაყრამ ჩენი უყურადლებოდ უტოვებთ
ზიარელის შენიშვნებს, რადგან მისი შენიშვნები
ძლიერ წერის ლად მიკვეაჩინია.

ზიარელი პროეიცორი კი არა საფრანგეთის პრი-
ვიტორიუ რომ იყოს კაცი, მას მაინც არ შეუძლია
გაიგოს, თუ რომელი წამალი რა ავადმყოფობის,
წინააღმდეგ იხმარება და რა დროს. ეს არის ექიმის
საქმე. მერე, წამალს სალბიას უწოდება, თუ
სალბიას სულ ერთია, ამით სსენტეპული წამალს
თავისი ძალა არ დაკალიბრირება და არც რამდე მოვა-
ტება. სრულებით არ შეუძლია დამტკიცებით სოქემა
პროეიცორისა, რომ ეს და ეს წამალი კარგია და ეს
და ეს ცუდიო. ამის შეცტყობა დამოკიდებულია მრთ-
ლოდ გქიმებზე და მათ გუნდებაზე!...

დეკ. ლ. ლაპაშიძე.

გონების სალარილამ.

ზოდიერთი კაცების განთქმულ სახელს ხშირად
შევყაროთ შეცოცხაში.

ბერნარდი.

კოველი კაცის სურეილი რომ აასრულოთ,
სწორეთ ქვეყანა ჯოჯოხეთად გარდაიცველდა.

ბერნარდი.

გასერილი სენლისით კაცი ნეტარებაში მყოფო
ბის ღრისაც კი ჯოჯოხეთად შია.

მანტენი.

ნორჩი ანგელოზი შეიძლება სიბერის ღრის
ეშმაკად გარდაიქცეს.

ნეტებული ანდანა.

წერა-კითხების უცოდინარობა ხალხთა კარგი
ნიშანი არ არის...

გორდონი.

კაცი დაბადებულია მოქმედებისათების. კაცი,
რომელიც არ მოქმედობს, უღრივოდ მკედარია.

ბერნარდი.

მღვდელთა საქურადლებოდ.

საკულტო სანთლის ქარხნების საქმის წარმოების შესახებ ახლად გამოცემულმა განონებმა დიდი ცვლილება მოახდინებს საზოგადოდ ეკვლებან და კერძოდ სახულივო უწევებაში. უცელამ იცის, რომ წინეთ ცერეზინი ხელს უწევდა სანთლის მექარხნეებს, რადგან ამ ნივთიერებას მომეტებულად ურჩევდნ სანთლები. ეს კალბი ნივთი ამცირებდა წმინდა სანთლის ცვილის დირსებას და ეს იუ მიჰყავი, რომ დღემდე ფუთი ცვილი წმინდა სანთლისა 18 მანეთად ისეიდებოდა და ზოგან ნაკლებათაც. დღეს კი, როდესაც ახალი კანონით აღიკრძლა ცერეზინის ხმარება წმინდა სანთლები, სანთლის ცვილი გამვიწდა და ფუთი 27—28 მანეთამდე ისეიდება. მამასადამე სანთლის ქარხნებს ფუთ სანთელზე შვიდ-რიგ მანეთამდე დაკლდებათ მოგება. იქ, სადაც საკულტო სანთლის ქარხანა ათას ფუთს სანთელს ჰქიდდა წელიწადში, ერთამად იზარდებს რეა-ათას მანეთს. ამ გარემოებას სამლენებამ კეროვანი უერადღება უნდა მიატანოს.

რომ შეუძლია სამღვდელოებას, რომ ამ საქმეს დაესაროს? ცნობილი და დამტკიცებულია, რომ მთელი საქართველო, თითქმის, ერთი უჩირველეს ალაგოვანია დედა-მიწაზე, სადაც დიდის მოგებით შეიძლება ხელი მოკიდოს კაცმა მეფეტერეობას. საკულტო სანთლის ქარხნებს ვერაფერი ვერ დაესარება ისე, როგორც მეფეტერეობის გამღვიველობა საჭროებისი, კინც მეფეტერეობას კეროვანი უნდა მოჰქიდებს სელს, ის დიდ სარგებლობას გაუწევს, როგორც ჰქილესიებს, ისე თვით

სამღვდელოებას, თუ მეოჯახე ერთგულად ხელს მიჰყოფს მეფეტერეობას ეხლანდელი დასამლელი სკების საშუალებით, უოველოვის თათო სკა წელიწადში მისცემს მოგებას 5 მანეთამდე. რაც ჩენის ქვეზანაში უსტკრები დაუმსიათ წელით, როცა ორი-სამი გირვანქა თაფლის გამოღება სდომებით სკიდამ, მარტო ეს უსტკრები იუ საკმაო მთელი საქართველოსათვეს. ჩენიდა სამწუხაროდ, ეს ბარბაროსული საჭირები დღესაც ბეკრგან სრულდება. ამისათვის ჩენ ჩენს გამოცემაში ქართულად ვეჭდავთ დარიგებას მეფეტერეობის შესახებ. სრული იმედია, რომ ჩენი სამღვდელოება ერთგულად მიჰყოფს ხელს ამ საქმეს. მეფეტერეობის შესწავლის მსურველთ შეუძლიათ, ვინც ჩენ ზე დაახლოებით არიან, მოვიდნენ ჩენთან დაას ეკორილაში, სადაც პრაქტიკულად შეუძლიათ შეისწავლონ მეფეტერეობა და ახალი სკების მომზადება. დღეს, მაღლობა ღმერთს, მეფეტერეობის პრაქტიკულად შესწავლა, ახალი სკების მომზადება და დათვალიერება მსურველთ შეუძლიათ თბილისში, ბ. წინამდგვარიშვილის სკოლაში, ქუთაისში მისეილ სკაპეცთან, ქუთ. სას. სასწ. მასწავლებელთ მატარამებთან, გუბში ბ. ნ. წერეთელთან და სხვ. ერთი სიტუაცით საჭიროა მხოლოდ მონდომა და საქმის შეგნება. და კინდა უნდა იუ ას საქმეში მაგალითის მიმცემი, თუ არა ჩენი სამღვდელოება?

და. ლ. ლამ—ჭ.

ფსელენი ლდ.

საჯენ იგინი უფალო,
ვინც ჩემთვის მავნებელია.
და ბრძანებ ჩემ წილ, მებრძოლი
ჩემზედა აღდგომილია.
ჩემს წინაკერძო შეკრიბე
მახვილი, გური და ფარი,
უმართლოდ ჩემზედ მოსულ მტერს
თავს რისხვა, მეხი და კერი.

არქეი ჩემ სულსა, ნუ შფოთავ,
თეით მე ვარ შენი მხსნელია,
რომ სირცხვილეულ კდებულია
ივლტოლენ ბილენი, მტერია.
აღგავე ქვეყანისაგან
ეით ქარისაგან მტერიო,
ჰყენ გზანი მათთვის ბნელ, ცორმილ,
საფრხენი მრავალფერია.
თეითონ შთაყარნე იგინა
ჩემთვის დაგებულ მახში,
მოწყალე მექმენ, უფალი,
რომ არ შთაევარდე საფრხეში.
კეთილის ნაცვლად ბოროტი
მომაგეს, ცული იჩრახეს,
განირკვნეს, არ შეინანეს,
არ დასტრენ და შეურაცხმყვეს.
შევიტკბე ისე როგორც ძმა
და მეგობარი გულითა,
მაგრამ იმათ კი ბოროტად
მიმიღეს სიძულილითა.
უფალი, ოდეს მომხედვე
და განაშორებ ჩემს სულსა
ძეირის საქმისა მათისგან,
მძლავრთაგან ჩემს გულს მოწყვლულისა?
პირში კეთილსა მეტყვიან,
პირსუკ:ნ ბოროტს ზრხავენ,
და იხარებენ ჩემზედა,
თუ რომ დაცემულს ჩნახავენ!
ნუ მისცემ ადგილს მათ გულში
იმ ფიქრს, რომ შთავნთქათ იდო.
დიდ არს უფალი, მშეიღობის
მოყვარე მონის თეისისა,
მე, მონა მაღიდებელად
მისის სახელის წმიდისა.

რ. საფარხდო

სასელმბლგანელი, საცურადლებო,
საჭირი და სარგებლი ცხობათია
განერთვილება.

დარიგება მეფუტკრეობის დაწეებისათვის
(გაცრალება *)

დაგრგარი დასაშლელი სკა
სარულ-თავიანი ჩარჩობი.

როგორც ზემოთა ეტევით, ერთი ფიჭის და-
საწყისედამ მეორე ფიჭის დასაწყისებდე საჭიროა სამი
მეოთხედი გოჯისა, არც მეტი—არც ნაკლები. ამი-
ს ა-ეს კოელ ჩარჩოს უკეთებენ თავის სიფრთხეს
გოჯის სამ მეოთხედის. რაც შეეხება ჩარჩოების სიგრ-
ძე-სიმაღლეს, სხვა და სხვა ნაირს ხმარობენ. ჩარჩო-
ები მეწყობიან ერთი მეორეზედ მჭიდროდ თავებით
ისე, რომ ზემობამ სინათლე არ ჩავიდეს, მხოლოდ
მათ ძევშ იატაკამდის უნდა იქმნეს ცარიცლი ადგი-
ლი არი ნაელები ნახევარ გოჯისა, გვერდება და
კედლებ შუა კი—არა ნაკლები მესამედ გოჯისა,
თუმცა აქ არც დიდი უნდა იქნეს ცარიცლი ალაგი,
თორებ ფიჭებს გადაცილებენ ჩარჩოებზე და მიაბმენ
კედლებზე, მცუცლებდლ საჭიროებას შეაღენს კუე-
ლა სკებისამებრების მოსარგვი ჩარჩოების კეთება; უამა-
სოდ შეფულუტკრეობა თავის სასარგებლო მიზანს ერ
მიაღწეოს. აგრძელებ მჭიდროდ იქნება შეკრული მთე-
ლი სკაც, რომ იატაკიდამ, გვერდებიდამ და წინა
პირიდამ ჭურჭუჭანები და ნაბზრები არ ექმნეს. ჭე-
რის მაგივრად იქმნება ერთი-მეორეზე წაწყობილი
ჩარჩოები. ხოლო უკანა გვერდი—შესაზევ-გამოსა-
ზევი, რომ ჩარჩოების ამოკლება და ჩამატება არ
მოგვიშალოს. ძალიან სასარგებლოა ექნეს გამოსა-
ლები იატაკი. ეს კარგია გაწმენდისათვის. წინა კე-
დელზე (შუბლზე) დატანება ორი საფრენი თეალი,
ერთი—შუბლის ფიტრის და იატაკის შესაზევთებელ-
თან და მეორე ზემოდ. ქვედა საფრენთან უნდა მიაკ-
რათ პატარა ფიტრისა ფუტკრების დასაჯღომად.
ცივს შენობისათვის თეალი დატანება გვერდოთ,
თფილისათვის კი ფიჭის პირდაპირ. სახურავი სჯობია
ფუტრისაფან 'გაქეთებული', სკის მასალა 'უნდა' რუკე

*) ა. „შეკვეთის“ მე-23 № 1893 წ.

მელის და იმისთანა მასალიდგან (ჩიუგან), რომ
კლება-მომატება არ იცოდეს, მაგალ. რთხმელა, წი-
ფლა და აღვის ხე.

ჭირო თავიდანი ჩარჩოები

ამგარ სკებს ის გარჩევა აქვსთ პირეელთან,
რომ ჩარჩოებს უფრო ფიწრო აქვსთ თავები, საიდა-
მაც ფიქტები დაიწყებიან, რის გმო მათ შორის ფუტ-
კრებისათვის მაღლა ასავალი აღავი რჩება. ეს გარე-
მოება მეფუტკრეს აძლევს შეძლებას ერთი დახვდით
ზეიტუს ფუტკრის ცხოვრება და ამ მიზნისათვის არ
აურ-დაურიოს ჩარჩოები.

სათაფლე განუოფილება, მისი მიზანი და მოხმარება.

უმთავრესი საქმე გონიერული მეფუტკრეობისა
არის რაც შეიძლება ბერი თაფლის მაღება, ჩაისა-
თვის საჭიროა საქმაო მუშა ფუტკარი გავაშეროთ იმ
დროსათვის, როდესაც თაფლის უმთავრესი საშო-
რიბა იწყება, მონაცერის რიცხვი კი შევამციროთ.
სკაში მეფუტკრემ არ უნდა დააყენოს მამალი ფუტკის
უიჭა და თუ ამას უურადლება არ აქვი, მიეცეული,
დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იმისთანა მეფუტკრე
სრულიად უცოდინარია თავის საქმისა, ანუ ზარმაცი.
საქმე იმაშია, რომ თუ ფუტკრებს დრო აქვსთ აშენონ
ფიქტები, მაშინ ღონიერი ნაყრები, რომლებსაც შეე-
ლი დედო ჰყავსთ (იმ გაზაფხულის გარდა უცელა
ძელია ითვლება), მონაცერის ფიქტებს აგებენ, რის
გამოც შენდება ურიცხვი მონაცარი ტუფილა, შემ-
შელი ფუტკრების ნალეა-ზარმისა.

ზემოდ აღნიშნული მიზნის მისაღევად მეფუტ-
კრები ხმარობენ სხვა და სხვა საშუალებას. სათაფლე
განყოფილებას აკეთებენ ბუდის ცალკე, რომ დედოს
ნება არ მისცენ მოსცილდეს ბუდებს და სდოს კერ-
ცხი თავის სურვილისამებრ. ხშირად ხდება, რომ
სკა ღონიერია, მაგრამ თაფლის საშორიობის დროს
მაინც ძლიერ შენდება. ეს ხელს უსარავს თაფლის
შენახვას, რაღაც ბარტუმები დიდ ილაგს იკავებენ
სკაში, ზეერ თაფლს ანადგურებენ ცალკე მზა ფიქტებს.
აგრეთვე მოიქცევიან მესამე უუთის დაღმაზელუა,
თუ საჭირო იქნა. როდესაც თაფლის საშორიბა
გათავდება, მაშინ სათაფლე განყოფილება ისპობა;
ჩარჩოებიდებან ფუტკრებს ჩაუენთხენ ბულეში, თაფლს
კი, რაც ფუტკრებს არ დასჭირდებათ, საზამთროდ
შეინახენ.

ერთგვარ რეინის ცხრილს; რომელშიაც გაეტევიან
მარტო მუშა ფუტკრები. ესლა ყელაზედ საუკეთესო
განტმანის ცხრილია, რომლითაც ჰყოფენ ბუდის ფი-
ქტებს სათაფლე განყოფილებიდებან. ფუტკრები ხდებინ,
რომ სათაფლე განყოფილებას ფიქტებს დედო ვეღარ
მოიხმარს ბარტუმებისათვის და თაფლით აქვევენ.
საშორიბის მოსპობის შემდეგ მეფუტკრე სპობს
სათაფლე განყოფილებას და თაფლს, რაც ფუტკრებს
არ დასჭირდებათ საზამთროდ, თავისათვის ინახავს.

დადანის სკა

გამოჩენილმა ამერიკელმა მეფუტკრემ დადანმა,
იმის მიხედვით, რომ ინსტრინქტურად ფუტკრებითავის
საზრდოს—თაფლს აგროვებენ სკას თავში, ე. ი.
ზევით, ქვევით კი საბარტყე ბულეს, მოაწყო საუკე-
თესო სკა, რომელიც შესდგება ორის ანუ სამის
სართულიდგან. თეოთული სართული შესდგება
ცწორი თოხუჭოხინი ყუთიდგან. ერთ მათგანში
სცხოვრიბს ფუტკრის ოჯახი; ჩარჩოების თავზე გა-
დაფარებულია ქველა ტილო ანუ სხვა რამე ქსოვი-
ლი, რომელსაც დათვალიერების დროს ნელ-ნელ
გადაზევენ. თავს ადგია რიგინად მოხდენილი და
მაგრად შეკრული თავსახურავი. როდესაც ბუდე გა-
იყება ბარტუმებით და კერტებით, ფუტკრები გამ-
რავდებიან და თაფლის ზიღვა გაჩალდება, მაშინ
თავსახურავს მონდინ, საფარის აპლიან, მის მა-
გრებად დათვარებენ ცხრილს და შემდეგ ზევილებან
დაადგმენ მეორე ყუთს. ეს ყუთი წარმოადგენს სა-
თაფლე განყოფილებას. ფუტკრების ამოსატუფუბლად
ამ განყოფილებაში ჩადგმენ ერთს ანუ ორ ბარტუმიან
ფიქტებს, დანარჩენს კი ჩაწყობენ ცარიელ მზა ფიქტებს.
აგრეთვე მოიქცევიან მესამე უუთის დაღმაზელუა,
თუ საჭირო იქნა. როდესაც თაფლის საშორიბა
გათავდება, მაშინ სათაფლე განყოფილება ისპობა;
ჩარჩოებიდებან ფუტკრებს ჩაუენთხენ ბულეში, თაფლს
კი, რაც ფუტკრებს არ დასჭირდებათ, საზამთროდ
შეინახენ.

დაბანის მეფუტკრეობა მოითხოვს სკების უნაკ-
ლულობას (ამისათვის ძირიც არის), ღიღს თვალყუ-
რისებებას და მუდამ საფუტკრეზე ყოფნას. მეფუტკ-
რეს არ შეუძლია იქნიოს საფუტკრები სხვადასხვა
ალაგას, რაღაც აცილებაც ერთს ვერ მოსცილდება. ამ შემ-
თხევეაში ერთი სათაფლე ფუტკრე არ მისცემს მეფუტკრეს
ნებას გაშენოს დადგ რიცხვი ფუტკრებისა, თუ არ

შემოილო თესეა სათაფლე მცენარეებისა, რომელთაც უნდა აძლიონ ფუტკარს თაფლი მოყელი ზაფხულის განმავლობაში, და არა ერთ რომელიმე ლროს, ადრე გამოხატებულშე ფუტკარს უნდა განვებ ჭმევა, რომ აღრევე გალონიერდეს და თაფლის საშორისობაშე მუშა არ დაკლაცეს. მასთან ავაუ აუცილებელი საჭირო არ ის მრავალი ხელისმატყო.

ამისთან მეფუტუკრეობა სახელდახელოა მხოლოდ ზოგიერთისათვის და არა სახოფადოების უმრავლეს სობისათვის.

ლ ა ი ა ნ ს ი ს ს კ ა

დიღმა განთქმულმა და პატივუმულმა ფრანგმა ლაიანსმა სულ სხეა ნიადაგზე დააყენა მეფუტუკრეობა. მისმა სწავლობ და გამოცალიერებამ კულტობა მისცა იყოლიოს ფუტკარი სადაც და რამდენიც უნდა იმ ლროს, როდესაც სხეა საქმისაც არ მოცდება.

სკეპტი არიან ერცული, რომელებშიაც ფუტკრები ძერად ნაყობენ. მათ გაზაფხულზე აძლევენ (აწყობენ შიგ ჩარჩოებით) მზად ფუტკრის ფიჭებს და მით წინათვე სპობენ მონაცერების უბრალო გაშენებას. ბუდისათვის (კვერცხისა და ბარტუმებისათვის). საჭირო ალაგს სკაში ჰყოფენ დანარჩენი აღილიდში ცხრილით, რომ დედო სანაშენ ბუდეს ეყრ გაშორდეს და მით თაფლის გროვებას ხელი არ შეუშალოს. რაღანაც ფუტკრებს ფიჭის შენება ძალიან ამნევებს, ამისათვის ცარიელი ადგილიც ბევრი აქესთ სათაფლე განყოფილებაში, რომ თეითონაც აშენონ ფიჭები. შეიძლება მაშინ მონაცენის ფიჭებიც ჩამოყალინონ, მაგრამ რაღანაც დედოს იმ განყოფილებაში მსელელობა არ ექმნება, მათ ფუტკრები თაფლის ჭურჭლად მორხმარენ. ამისთან სკეპტის დიდი მოვლა არ სჭირდება, რაღანაც ხრული არიან და სათაფლე განყოფილება არ შეადგენს ცალკე მოსახსნელ განყოფილებას. სათაფლე განყოფილება კეთდება ჩარჩოებ შეა ცხრილის ჩადგმით, რომელიც შემოდგომაზე შეერთდება ბუდესთან ცხრილის ამოდებით. ამგვარი მეფუტუკრეობა მითა ადგილი, რომ მთელს წელიწადში სჭირდება მხოლოდ ორჯერ ნახეა. აპრილში ბინის ცასადიდებლად და შენახულების დასხედავად, შემოდგომაზე—თაფლის ამოსალებად და ზამთრისათვის მოსამზადებლად. ეს უკანასკნელი სკა ამით აძლევს მეფუტკრებს ნებას იყოლიოს ფუტ-

კრის სხეა და სხეა ადგილებზე და იმსახურის თეოთ ბონება სათაფლე მცენიერების გაუშენებლადაც.

პირებელად, როგორც ზემოთ ასთქვით, გასხვი-ჯება სკეპტი გაზაფხულზედ იმ ლროს, როდესაც ფუტკრებს თორმელი დღე მაინც უმუშავით გარედ (იმაზე აღრე არ ივარგებს). კევლა ბარტუმებიანი ფიჭები უნდა მიეწყოს სკის ერთ ფურცელში იმ რიგზე, როგორც დაგხედათ. ხოლო იქითა-აქეთ უნდა ჰქონდეს ცოტალენი თაფლიანი ფიჭები. ეს უკანასკნელები წარმოადგენ თუ ბუნებით კედლებს ბარტუმების სიციისაგან დასფარავად.

რ. ჩიხლაძე.

ჭ ა ფ ი რ უ ლ ე მ გ ა ნ ი.

1) ზემოჩიბათის წმ. გ. ეკკლესიის მღვდლის თომა ჯორბენიძისაგან:

„მ. რედაქტორო! გთხოვთ მადლობა გამოეუცი: ხადოთ თქვენის ფურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით როგორც მე, აგრეოვე რწმუნებულმა ჩემმა მრეცელმაც ფოთის ქალაქის მცხოვრებს ალექსანდრე ჯორბენიძის მეუღლეა დესპინეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ფერებისა ტრაქეზზე დასადგელი აქროში. დაფერილი სანაწილე, ლირებული 18 პ. და ემბაზი—10 პ., და კიდევ სხეა და სხეა უსაჭიროდის ნიფობი.

2) ჯალაურითის წმ. გ. ეკკლესიის მღვდლის ი. ჩახანიძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი ფურნალის «მწყემსი»-ს შემწეობით გულითადი მაღლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სხეა და სხეა ნიერები ჩემდამო რწმუნებულს ჯალაურითის წმ. გ. ეკკლესიას. აი საღაც შემომწირეელთა:

გლ. ს. ღამბაშიძემ მინაში ჩასმული და ვერცხლით შექმნიბლი მაცხოვრის ხატი, ლირებული 1 კუ. მ., გლ. პეპო მინდიბაძე 1 ბრონზის შემკობილი ჯეარი ტრაქეზზე დასასკენებელი, ლირებული 1 თუმნისა; გლ. სამჩნო მინდბაძემ ვერცხლის საცეცლდური, ლირებული, 10 კ.

რედაქტორის პასუხი.

გრიგ. რუს—ძეს. როდესაც უვლანი აგრე გულგრილად ეყრდნობან ეჭყლების უწოდის საქმის, გა-ზოში დაბეჭდილ სტატიას გინდა მიაქციას ურალებას? სოფელმა ხარჯ უნდა მოსთხოვოს ხერო-მოძღვარს, რომელმაც ეპ-კლების გეგმა უკადგინა და ფაძრის შე-ნობა შეამოწმა და მტრიცა და როგორ აშენებულად იცნო. მეგონ იტუგით: ეს არც ერთი არ ასრულებულა. საქმეც ის არის, რომ ჩეგმა ხალხმა ვერ უჟიგნო გადა—ბლალიჩინ ხუროთ-მოძღვარი არ არის და კაპეიკან ქადაღიდზე დაწერილი კანტრაქტი ნაცარიკესის დაშიოწმებლად გროშათ არ გამოდგება საჭიროების დროს...

მდგ. 3. გვა—იას. ოქენი სიტუა დაგვინებულა და არ იძეჭდება.

მასწავ. ბობონიძეს. ძლიერ ცდებით, თუ მართლა ფიქრობთ, რომ 1200 გ. მისი წყალიშით დაგრინშეთ ამას უმაღლოდეთ, იცით ვის? ნახეთ მიწერ-მიწერა ამ საქმეზე 1892 წ. და გაიგმო. სხვა თქენი მონაწერი ამბეჭი ძლიერ დაგ-ვინებულია და არ იძეჭდება.

ზოგიერთ წიგნთ-საცავების და სამეობებელების დამაარსებელთ. ჩეგ რაღაცა ეჭვის თვალით გუურებთ ასე ხშირად და ბევრგან სამეობებელების გავრცელებას. ვინ, თუ ზოგიერთ პატონებს ეს სამეობებელები თავანო თავისი გაეცსნათ და არა საზოგადოებისათვის... საჭიროა იფიციალურად ვიცოდეთ, რომ სამეობებელი არის გახსნილი...

მდ. გ. გოგიან—ს. გამოგვიგზავნეთ ათ შეგრის მარკა და მიიღებთ კარაბადინს. ამ 1894 წ. კი ხელის მომწერი უველანი მიიღებრ დაპირებულ საჩეუანს.

მდ. მ. გაგაშვილ—ს. თქენი სიტუა არ იძეჭდება.

მდგ. ს. ნი—ძეს. მაგაზედ მეტი დახვევა უქნება უშმის მრე-ხელისა? კალაზე პური დაპნევია შეხით, ბზე ქარს წაულია და ისინიც უქნება მოუ-ლავს. ჭეშმარიტად სასტუკი დასჭავა, თუ მართალია, რაცაც იწერებით.

მიღება ხელის-მოზარა 1894 წლისათვის თუ კორეულ გამოცვალა რასთულს

„პლუმს“-ზე

რუსულ 『ПЛУМС』-ზე

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღელელო და საერო წოდებას უკეთა გან-კარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაატყოცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საკულებით და საზოგადოებრივი ცხოვ-რების კითხებთა შესახებ; 3) გაატყოცელოს საქართვე-ლოს სამღელელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქიმისტიანობრივი კეთილ ზნებისა და საჩრმუნოებისა და 4) აუცხას და განუმარტოს სამღელელო და საეკულესით მოსამსახურე პირთა ზო-გიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუკი-ლებელ საჭიროებას შეაღენს მათთვის მტკიცელ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსნებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შენაარსი შესანიშნავ და საინტერე-სო 『მწყემს』-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გაა-ნიოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას სა-ქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპე-რითა და საქართველოს სასულიერო და საერო წო-დება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას ჭ ხალხის ცხოვრებას.

ფასი კურნალისა:

12 თვით 『მწყემსი』 5 გ. | 6 თვით 『მწყემსი』 3 გ.
— „ ღრივე გამოცემა 6 „ | — „ ღრივე გამოცემა 4 „
— „ რუსული „ 3 გ. — „ , რუსული „ 2 გ.

სოფლის მსწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ
მოელოს წლით სამ მანეთად.

რედაქტორის აქცეს კანტორები: ჭუთას შე ხანანაშეი-ლების სახლებში და გვარილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ზაზეთშე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც გვარილაში, აგრეთვე ჭუთას შააც.

გარეშე მცხოვრებთა უურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Евирили, въ редакцію газеты и журнала „МЦБЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

სახელმძღვანელონი,

დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენი, ანუ ანბანი და პირელი საკითხევი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცნიერ შეეხებული გამოცემა, დაბეჭილი წერა-კითხების საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სკიდეა არც სახატავებისა და არც დედნესა. უასი ისევ ექვსი შაურია, ყლით ორი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხეთ შაურათ, ყლით 33 კაპ.

გ უნიპის კერი, ანუ საკითხევი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემცული სურათებით და საქართველოს ქართით. დაბეჭილი წერა-კითხების საზოგადოების მიერ. უასი ყლით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უკლია ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს—თუთხმეც შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეც შაურად. მს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „შეენიერ სახელმძღვანელო მართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კ რ კ რ ი, ანუ ანბანი და პირელი საკითხევი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპიკი.

კ რ ნ ი საყმაწეილო მოთხოვნათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნალის ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიკუდმა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

კ რ მ ლ ი, ანუ ჩეულთა ლექსითა კრება მოზრდილ ყრმათათეოს, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კ უნილე, ანუ საყმაწეილო მოთხოვნანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ი ს ვ ნ ე ნ მ რ ს კ მ ნ ს ? მოთხოვნა მოზრდილი ყმაწეილებისათეოს, ფასი ორი შაური.

ს ა ც ი ს მ ი ც ი ? საყმაწეილო მოთხოვნა, ფასი ერთია შაური.

ს პ ი ნ მ ი ს მ მ ი ს საყმაწეილო მოთხოვნა შეფე მრეცველეს სურათით და ქართით, ფასი ორი შაური.

მ ი რ ი თ ა რ ი უ კ უ ლ მ ა რ ი მ ბ ი, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო დამზანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთია აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплѣтъ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплѣтъ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русского языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русского Слова» одобрены въ качестве учебного руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведений всего Кавказского учебного округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утверждениемъ Господина Главноначальствующаго. (Смотри Сборникъ распоряженій по управлению Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово, руководство учебнымъ Начальствомъ.

(15—5)

რედაქტორი და გამოცემელი ლეკ. დ. ლამბაშიძე. ლო. ინევირი. კუთაის, 14 ფევრალი 1894 წ.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашиძე) Въ Кутаисѣ, იომბი, въ д. бр. ბანაзовыхъ на Нѣмецкой ул.